1966/2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიანჭველა

1966 აპრილი N4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტოროლა

ლექსი ემზარ კვიტაიშვილისა მუსიკა მზია ძეძამიძისა

ცაში უსტვენს ტოროლა,ბრწყინავს დილა მზიანი,
დგას მამალი ოქროს დეზებიანი.
თვალებს ახელ, დედა საწოლს ალაგებს,
მზე დაჰყურებს მინდვრებსა და ჭალაკებს.

ქარში ღელავს სიმინდი, ასი კაბა აცვია
და ქოჩორიც თავზე გადავარცხნია.
იყავ მკვირცხლი, მუდამ ასე ლამაზი,
არ მოგწყინდეს სიმღერა და თამაში.



უფროსი

სერგეი ალექსეევი

პეტროგრადში, სმოლნში, ამხანაგ ლენინთან საშუამდგომლოდ ჩამოვიდა კოსტრომის გუბერნიის გლეხთა ერთი ჯგუფი. მათ ქალამნები და თბილი ჯუბები ეცვათ, თავზე ყურებიანი ქუდები ეხურათ, მხრებზე კი საგზალი ჰქონდათ გადაკიდებული.

იმ დროს სმოლნში უამრავი ხალხი იყო. ვის არ ნახავდით აქ—გლეხსა თუ მუშას, მეზღვაურსა თუ წითელგვარდიელს.

კოსტრომელი გლეხები სმოლნში ვლადიმერ ილიას ძე ლენინს დაეძებდნენ.

ამ დროს, მოულოდნელად, მათ თვითონ ვლადიმერ ილიას ძე შემოხვდათ.

— მეგობარო, ვერ მიგვასწავლით სად არის უფროსი?—ჰკითხეს მას გლეხებმა.

— ვინა, ვინ?—შეეკითხა ვლადიმერ ილიას ძე.

— უფროსი,—გაუმეორეს გლეხებმა.—რუსეთის ახალი მმართველი.

— აა, უფროსი?—გაეცინა ლენინს. მან ირგვლივ მიმოიხედა და იქვე მუშების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ჯგუფი შენიშნა,—აი, უფროსი, — მიუთითა ლენინმა მუშებზე, მერე გაიღიმა და გზა განაგრძო.

მივიდნენ გლეხები მუშების ჯგუფთან და ფიქრობენ, რომელი იქნება მათ შორის ამხანაგი ლენინი.

— შვილებო, რომელი ხართ ამხანაგი ლენინი?

— ლენინი?—გაიკვირვეს მუშებმა.

— ჰო, ლენინი,—უპასუხა გლეხმა,— რუსეთის ახლანდელი მმართველი.

— ლენინი იქ არის,—მუშებმა კიბისაკენ მიუთითეს,—მესამე სართულზე ადით, ლენინი იქ იქნება.

გლეხები მესამე სართულზე ავიდნენ და კვლავ ლენინი შემოხვდათ.

ვლადიმერ ილიას ძე ვიღაცასთან ერთად მიდიოდა და კამათობდა.

ლენინმა ნაცნობი გლეხები დაინახა და ჰკითხა:

— რა ჰქენით? იპოვეთ ახლანდელი უფროსი?

— ვერ ვიპოვეთ.

— აგერ, უფროსი,—მიუთითა ვლადიმერ ილიას ძემ ზურგშექცეულ გლეხების ჯგუფზე და კვლავ გაიღიმა.

შემობრუნდნენ კოსტრომელები. ვერ გაიგეს, რა ხდება; დერეფანში ჯარისკაცები და მატროსები ირევიან. მოშორებით გლეხები დგანან და მასლაათობენ. მათაც ქალამნები და თბილი ჯუბები

ნახატები რევაზ ცუცქირიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აცვიათ. მხრებზე საგზალი აქვთ გადაკიდებული, ეტყობა, ისინიც შორიდან ჩამოსულან.

გლეხები ამ კაცის ვინაობით დაინტერესდნენ და იქვე ახლოს მდგარ ჯარისკაცებს ჰკითხეს:

— შვილებო, ვერ გვეტყვით, ვინ არის ეს წვერიანი კაცი?

— ეს ხომ ლენინია!

გლეხებს გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდათ.

— აქ რაღაც გაუგებრობაა, — თქვა ერთ-ერთმა გლეხმა.

— საოცარია პირდაპირ, — დაეთანხმა მეორე.

— როგორ გავიგოთ ყოველივე ეს, ათანასე დანიელის ძევ? — ჰკითხეს ბოლოს უხუცეს გლეხს.

— როგორ და, როგორც ითქვა, — უპასუხა მოხუცმა და სახე ღიმილით გაუნათდა.

გლეხები ლენინის კაბინეტისაკენ წავიდნენ.

— თქვენ ვისთან მიდიხართ? — ჰკითხა მათ მდივანმა.

— ამხანაგ ლენინთან.

— რა გადავცე, ვინ კითხულობს?

მოხუცმა გლეხმა თავისიანებს შეხედა, ულვაშებზე ხელი გადაისვა და თქვა:

— გადაეცი, რომ მოვიდნენ უფროსები, მოვიდნენ რუსეთის ახალი მმართველები.

თარგმნა **ბ. ქახიანმა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაც მოგვივა

მახე დაუგეს, დათვს
და დაუჩეჩქვეს თათი,—
ვერ მოიპარავს თაფლს
ოთდაჩეჩქვილი დათვი.

ახლა წუწკურობს მგელი,—
ფრთხილად იპარავს თაფლს...
მგელსაც ის დაემართება,
რაც დაემართა დათვს.

ნახატი: ზურაბ რაზმაძისა

მორის ფოცხიშვილი

შინ და გარეთ

შინ სულ ბუზღუნებს ბაკური,
ცრემლს სულ წყალივით ღვრის,—
ხან ყელი სტკივა, ხან ყური,
ხან აცემინებს ცხვირს.

გარეთ გარბის და ბაკური
მღერის, თამაშობს, ხტის,—
არც ყელი სტკივა, არც ყური,
არც აცემინებს ცხვირს.

ციალა არდაშელია

ნახატი ზურაბ მეძმარიაშვილისა

ვინ გაცხეხა მინა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი შესვენების დროს ბავშვები ოთახიდან გაიკრიფნენ. თამაზი მორიგე იყო, მერხზე მარტო იჯდა და რაღაცას წერდა. თენგომ მერხიდან რეზინის ბურთი ამოაძვრინა და მითხრა:

— ჯერ მე დაგირტყამ, კარგი?

მე კედელთან მეკარედ დავდექი და თამაში დავიწყეთ.

— რას შვრებით? ოთახში ბურთის თამაში შეიძლება?—შემოგვიტია თამაზმა, მაგრამ მიხვდა, ჩვენთან ვერაფერს გააწყობდა, ხელი ჩაიქნია და ისევ თავის რვეულს მიუბრუნდა. უეცრად თენგოს დარტყმული ბურთი კედელზე ჩამოკიდებულ სურათს მოხვდა, მინა დაიმსხვრა და ზრიალით დაცვივდა იატაკზე.

— ეს რა ჰქენით?—მოგვვარდა თამაზი.

თენგიზმა ნელა აიღო ბურთი და მერხში შეაცურა.

— თამაზ, ამაზე კრინტი არ დაძრა, გესმის!

ზარი დაირეკა. ბავშვები ნელ-ნელა შემოვიდნენ ოთახში. ყველას აინტერესებდა, ვინ გატეხა სურათის მინა.

ნინო მასწავლებელმა დამნაშავე იკითხა. კლასი გაირინდა.

— მორიგე ვინ არის?

თამაზი ზლაზვნით წამოდგა, თავი ჩაღუნა და თქვა: მე ვწერდი და არაფერი შემიმჩნევიაო.

— არ შეგიმჩნევია, ხომ? მაშ, კარგი, დღეს არც ერთი არ წახვალთ ცირკში!— გამოგვიცხადა ნინო მასწავლებელმა.

— თვითონ თქვას, ვინ გატეხა მინა, ერთის გულისთვის მთელი კლასი რატომ უნდა დაისაჯოს! – წამოიძახა ერთმა გოგონამ.

თენგოსკენ ფრთხილად გავაპარე თვალი. იგი არხეინად იჯდა.

გაკვეთილის ბოლოს ნინო მასწავლებელმა განმეორებით გვკითხა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მაშ, არ იტყვით, ვინ გატეხა მინა?

მამუკა უეცრად წამოდგა და მშვიდად თქვა:

— მე გავტეხე, მასწავლებელო!

მამუკას ყველა გაოცებით მიაჩერდა.

მე თვალები დავაჭყიტე.

— ჰოო, თუ ასეა, მამუკა, შენ დარჩები. ჩემს მოსვლამდე ფეხს არ მოიცვლი აქედან.

...ცირკში დიდი ჟრიამული იდგა. ბავშვები იცინოდნენ, მხიარულობდნენ. მე კი სულ არ მეცინებოდა. როგორც ყოველთვის, მე და თენგო ახლაც ერთად ვისხედით.

— უნდა წავიდე, თენგო, —ვუთხარი უცებ მეგობარს.

— სად?—არც მოუხედავს, ისე შემეკითხა თენგო.

პასუხი არ გამიცია. ავდექი და წამოვედი.

სკოლაში დარაჯს ძლივს შევეპარე და საკლასო ოთახისაკენ გავქანდი. მამუკა რაღაც წიგნს ჩაჰკირკიტებდა. ჩემი დანახვა სულ არ გაკვირვებია. შემომხედა და გამიღიმა.

— რატომ მოიქეცი ასე?—ვკითხე მამუკას.

— არ ვიცი...

— ის ხომ... მე გავტეხე.

— შენ კი არა, შენმა მეგობარმა გატეხა,—მშვიდად შემისწორა მამუკამ და ისევ გამიღიმა.

— შენ საიდან იცი?!

— იმ დროს შემოვიხედე ფანჯრიდან, თენგომ რომ ბურთი დაარტყა და სურათს მოახვედრა.

ჩვენ ისე გავერთეთ წიგნის კითხვით, რომ მასწავლებლის შემოსვლა არც გაგვიგია.

— აა, მალხაზ, შენა ხარ? რაო, დამნაშავის ბედი გაიზიარე?—მკითხა ნინო მასწავლებელმა.

— მამუკა არ არის დამნაშავე, მასწავლებელო. მე... მე გავტეხე სურათის მინა.

— იმიტომ გამოიპარე ცირკიდან?

მე თავჩაღუნული ჩუმად ვიდექი. წამით თენგოს სახე თვალწინ დამიდგა, მისი უდარდელი სიცილი ყურში ჩამესმა და გავწითლდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუნუ კერესელიძე

ვალენტინა ნახა კახამ,
ჰოდა, აღარ მოსცილდა,
ვალენტინა იცინოდა
და პატარებს კოცნიდა,
გულს ვარსკვლავი უმშვენებდა,
ალბათ ცაში მოწყვიტა.

ქ. გოგიაშვილი

მერცხლებივით დანავარდობთ
ვარსკვლავების კაშკაშში,
ვინც გახდება მთვარის მეკვლე,
ის იქნება ვაჟკაცი.

ჯანსუღ ჩარკვიანი

ინდი, მინდი, ფერად შინდი,
ვსწავლობდი და ფრთებსა ვშლიდი,
ვინც ვაჟკაცად გაზარდესა,
ის დასერავს ლაჟვარდებსა.

ნახატი ჯემალ ლოლუასი

ᲛᲖᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲛᲣᲧᲕᲐᲠᲡ

ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ნახატი ᲘᲣᲠᲘ ᲥᲚᲘᲑᲐᲫᲘᲡᲐ

ცას მტრედისფრად მოედო ნისლი. გათენება შორს იყო. ცელქმა ნიავმა გადაურბინა ფოთლებს. ფოთლებმა ტაში შემოჰკრეს:

— მაღე მზე ამოვა! გაგვათბობს! ნამს ამოაშრობს, მხიარულად ავბრიალდებით!

ფრინველებში პირველი ტოროლა გამოფხიზდა. ცაში აფრინდა, შეინავარდა, დაიწკრიალა:

— დიდიდმე! რა კარგია! საცაა მზე ამოვა!

ბელურამ გადასძახა თავის ოჯახს:

— რაღა დროს ძილია? რატომ არ ჟივჟივებთ? საცაა მზე ამოვა!

უცებ ყველაფერმა გამოიღვიძა, ადამიანებიც წამოდგნენ.

— მზე ამოსულა, მზე! აბა, ჩქარა, ტანთ ჩავიცვათ!—ყვიროდა ღაშა.

მზე კისკისებდა, უხაროდა, რომ ყველას ესიამოვნა მისი გამოჩენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარს ვაქებდით მეფესა...

შოთა რუს

აფორიზმები

ვინ მოყვარესა არ ეძებს,
იგი თავისა მტერია.

ლეკვი ლომისა სწორია,
ძუ იყოს, თუნდა ხვადია.

ჭირსა შიგან გამაგრება
ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატი ზურაბ კაპანაძისა

თაველი

ფხისტყაოსნიდან

ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასა,
ზოგჯერ თქმითაც დაშავდების.

ბოროტსა სძლია კეთილმან,—
არსება მისი გრძელია!

რაღაა იგი სინათლე,
რასაცა ახლავს ბნელია?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ია ჩხაიძე

მენავეები

ნახატი დიმიტრი ზარაფიშვილისა

კოკი და ოთარი მენავე იაგორას წაბლის ოდასახლში ტყუპად დაიბადნენ. გაპობილ ვაშლივით ჰგავდნენ ერთმანეთს. ერთად იზრდებოდნენ.

იაგორას მთელი დღე თავისი ძველისძველი ნავით მდინარეზე მგზავრები გადაჰყავდა. მდინარის პირას პატარა გაჭვარტლული კარავი იდგა და ღამეებს იქ ათენებდა.

ბიჭები ხშირად ჩაირბენდნენ ხოლმე მამასთან, წიგნებს ჩაუტანდნენ და ხმამაღლა უკითხავდნენ. შემდეგ შეუჩნდებოდნენ და მანამ არ მოეშვებოდნენ, ვიდრე იაგორა ონავრებს ნავში არ ჩასვამდა და ტალღებზე არ გაასრიალებდა.

ერთ საღამოს ცამ პირი შეიკრა, ბახმაროს მთებზე ელვა დაიკლაკნა, დაიქუხა და კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ბიჭები ღამის გასათევად მამასთან დარჩნენ.

იაგორამ შუაცეცხლი გააჩაღა.

იქვე ეყარა ტყეში შეგროვილი წაბლი, იაგორას მიერ ჭალაში მოწეული სიმინდი. ბავშვები წაბლს და ჭყინტ სიმინდს ხარშავდნენ და გემრიელად შეექცეოდნენ. იაგორა კი თხილის წნელისაგან სამძირსა და თევზის დასაჭერ ფაცერს წნავდა.

ბავშვები გვიან დაწვნენ და ალიონზე მერცხლებივით წამოფრინდნენ. ადიდებულ მდინარეს ნახევარი ჭალა დაეფარა. რკინის ბოძზე მიჯაჭვული ნავი ტალღებზე ასანთის კოლოფივით დახტოდა.

იაგორამ ბიჭები გააფრთხილა:—ხომ ხედავთ, მდინარე როგორ გადაირია, არ გაბედოთ, ნავს ხელი არ ახლოთ, მე კოლმეურნეებს სიმინდის მოტეხაში მივეხმარები. თუ ვინმე მგზავრი გამოჩნდეს, ნავი ვერ იმუშავებს-თქო. აბა, თქვენ იცით!—ზურგზე გოდორი მოიგდო და წავიდა.

გაღმიდან მდინარეს უცხო ადამიანები მოადგნენ. სამხედრო ტანსაცმელი ეცვათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრებზე შაშხანები უბრწყინავდათ. ხელში თხილის წნელისაგან შეკრული საკაცე ეჭირათ და ზედ ფარაჯაში გახვეული კაცი იწვა.

— ესენი საბჭოთა არმიელები არიან. გაღმა ჭალაში სროლაში ვარჯიშობენ. ხომ იცნობ მაგათ?—შეეკითხა კოკი ოთარს.

— ვიცნობ, როგორ არა... ხედავ? ხელს გვიქნევენ, გვეძახიან. ახლოს მივიდეთ!— თქვა ოთარმა.

ბიჭები მდინარეს მიადგნენ.

— კაპიტანი გაგვიხდა ავად... ჩქარა გაიქეცით... მენავე მოიყვანეთ!—დაიძახა ერთმა.

ბიჭებმა მდინარის მეორე ნაპირიდან ყვირილითა და ხელების ქნევით ჯარისკაცებს ძლივს გააგებინეს: მდინარე ადიდებულია და ნავი ვერ გამოვაო.

ნავი მდინარის ტალღებზე გამომწვევად თამაშობდა.

— რაც იქნება, იქნება... მივეშველოთ!— თქვა კოკიმ, გრძელი ჭოლოკი მოიმარჯვა და ნავი აუშვა.

ნავი ტალღებზე ნაფოტივით ქანაობდა, ვერცხლის წყალივით უსხლტებოდა შეზვინულ წყალს.

კოკი იაგორასავით გაჯგიმულიყო კოფოზე და გრძელ ჭოლოკს მარჯვედ ატრიალებდა. ნავს პირდაპირ მიმართულებას აძლევდა. ოთარი კი ნიჩბებს ჩაფრენოდა.

შუა მდინარეში ნავი შეტორტმანდა. ერთ-ერთი ჯარისკაცი ბიჭების მისაშველებლად მდინარეში შევიდა. კოკიმ შუა ღარისთვალში ნავს ქვევიდან დაუხვედრა ჭოლოკი და გაღმა ნაპირისკენ მაგრად უბიძგა. ნავი საწინააღმდეგო მხარეზე გადაიზნიქა. ის იყო უნდა გადაბრუნებულიყო, მაგრამ ოთარმა ნიჩბები მაგრად მოუსვა, წყალს ნავში ჩასვლა აღარ დააცადა და ღარისთვალს დროზე გაუსხლტნენ, გაღმა ნაპირზე გასრიალდნენ.

ჯარისკაცები სიხარულით შეხვდნენ გაბედულ ბიჭებს. ავადმყოფი ნავში ჩასვეს და მეორე ნაპირზე მშვიდობით გამოვიდნენ.

სიცხიანი კაპიტანი საავადმყოფოსაკენ გააქროლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარათი ციყვს

ესმა ონიანი

ნახატი ზურაბ ფორჩხიძისა

გამარჯობა, ძმაო ციყვო.
მოვიცალე როგორც იყო
ამ წერილის მოსაწერად,
ისე, როგორ მოგიკითხო?

როგორ მიდის ტყეში საქმე.
თუ ინახავთ საკვებს სადმე,—
თხილს და კაკალს. ვიცი, ამ დროს
იმარაგებთ ზამთრის საზრდოდ.

ფიჭვი ისევ აბნევს გირჩებს?
სხვათაშორის, ამას გირჩევ—
თუ გაკვნიტე დიდი თხილი
და აგტკივდა უცებ კბილი.

აიხვიე რამე თბილით.
დაიძინე ტკბილი ძილით.
სხვა, ჩვენ ამბავს თუ იკითხავ,
კურდღლურად ვართ—მუდამ ფხიზლად;

მართლა, დიდი სიყვარულით
მოგიკითხა ველის ვირთხამ.
სხვა, ისეთი რა მოგწერო,
ჩამოფრინდა ერთი წერო,

ცალი ფეხი აიბზიკა
და უკბინა კიდეც ბზიკმა.

ოხ, ისეთი ჩხუბი ატყდა,
ვერ შევწყვიტეთ დავა, ვერა.
მაგრამ ყვავმა დაიჩხავლა
და დაგვეფანტა უცბად ყველა.

წერო ახლაც ცალ ფეხზე დგას
და ქანაობს ნელა-ნელა.
მაშ ნახვამდის, პასუხს ველი,
გკოცნის შენი ძმა

კურდღელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ციყვის პასუხი

ჩემს ყურგრძელა ძმა კურდღელას
შორი ტყიდან გამარჯობა,
მენატრება თქვენთან ველზე
სტუმრობა და ნავარდობა;

ნაცნობების შემორბენა;
ბაჭიები ბე და ბენა
ალბათ უკვე გაიზარდნენ,
ველარ ვნახავ გაისამდე.

როგორ არის ბუჩქი ბუცა,
შავთვალება ნუკრი ნუცა,
ნაკადული ნაზიბროლა
და მჩხავანა ყვავი კოლა;

ნაყოფები სცვივათ წაბლებს?
ექიმი თუ გაძლევთ წამლებს?
მუცლები რომ აგტკივდებათ,
მკურნალობა დაგჭირდებათ;

ან კომბოსტოს შეჭამთ მტვრიანს,
ან სტაფილოს მიწიანად,
ჩვენში დარჩეს, ზოგჯერ კაკალს
მეც მივირთმევ წიწვიანად.

რალა გავაგრძელო ბევრი
ახლა დაგემშვიდობები;

სულ იყავი ასე კარგად,
ასე ფხიზლად და კურდღლურად.
სიყვარულით, ნახვის ნატვრით,
შენი

ციყვი კურდღელა

სიმღერა

ეთერ ხუციშვილი

— ლა,
ლა,
ლა,
არვინ გამცეს ხმა,
ვამუშავებ ხმას,
გამოცდა მაქვს ხვალ.
— ლა,
ლა,
ლა,
— რა გამღერებს, რა?
— არ დაეკარგეს წითი
და მიყიდე ხუთი.

ამირანი

ლავრენტი ჭიჭინაძე

ნახატი ზურაბ მეძმარიაშვილისა

— ამირან, აბა, გამოიქეცი!

პატარა ბიჭუნა გაიქცევა და ბაბუას მუხლებზე შეახტება.

— ამირან,—ახლა მამიკო იწვევს,—აბა, ბურთი გამოაგორე!

ამირანს არ ეზარება შორს გასროლილ ბურთთან მისვლა. მიირბენს, დასტაცებს ხელს, მოხდენილ ადგილზე დადებს და მამიკოსკენ გააგორებს.

ყველანი იცინიან, აქებენ ამირანს: რა მარჯვე ბიჭიაო!

— შენ თუ მართლა ნამდვილი ამირანი ხარ, ახლა გამოჩნდება,— ეტყვის დედა და ფაფით სავსე თეფშს წინ დაუდგამს. აბა, შენ აჯობებ თუ ფაფა! თუ ვერ შეჭამ, გაჯობებს და ის იქნება.

ამირანი უცებ მოასუფთავებს თეფშს.

— ამირან, აბა, ჩემი სათვალე მომიტანე!—სთხოვს ბებია.

ამირანი გარბის და სათვალე მოაქვს.

ხედავთ, ამირანი რა ბიჭია!

ნახატები **გაიოზ ფოცხიშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანათობელი

პარჩილ ჯანაშვილი
პროფესორი

ბევრ თქვენგანს უნახავს ჩვენებური ციცინათელა, რომელიც ტყის პირას ბუჩქნარებში, ბალებსა და ეზოებში დაფრინავს. ბავშვები ციცინათელას გულზე ან თმაზე დაისვამენ ხოლმე. ციცინათელას „ფარანი“ ხან ინთება და ხან ქრება.

მანათობელ მწერებს შორის ყველაზე უფრო კარგად სამხრეთ-ამერიკული პატარა მწერი—კუკუიო ანათებს. კუკუიოს მიერ გამოსხივებული სინათლე „მუდმივია“ და ციცინათელასავით წყვეტილ სინათლეს არ აფრქვევს. კუკუიოს შუქს ადგილობრივი მცხოვრებნი ოთახის განათებლად იყენებენ: სამ-ოთხ კუკუიოს გამჭვირვალე ქილაში ჩასვამენ, თავზე გადააკრავენ დოლბანდს, დადებენ თახჩაზე და ოთახიც განათებულია.

სამხრეთ ამერიკელი ქალები კუკუიოს სამკაულად ხმარობენ. ამ მწერს დოლბანდის პარკში ათავსებენ და გულზე იკიდებენ, ან თმაში იმაგრებენ.

ზღვის სიღრმეში ბინადრობს პატარა კიბოსნაირი აკანთეფირა, რომელიც პირიდან „ცეცხლს“ აფრქვევს. ამ „ცეცხლით“ ის მტერს იგერიებს.

ზღვებსა და ოკეანეებში 900 მეტრის ქვემოთ ბევრი მანათობელი თევზი ცხოვრობს.

ზღვის ნათებას მეზღვაურთათვის დიდი სარგებლობა მოაქვს. ამ სინათლის შუქზე მეთევზეები თევზების ქარავანს ამჩნევენ. ხედავენ მოახლოვებულ საფრთხეს—სანაპირო კლდეებს და დროულად გაეცლებიან ხოლმე იქაურობას.

10843

გამოფარფატდა პეპელა

გივი ჭიჭინაძე

გამოფარფატდა პეპელა,
ყვავილებს უძღვნა სალამი.
იამ საუზმე მიართვა,
სამყურამ ასვა ცვარ-ნამი.

წყარომ უმღერა რაკრაკით:
რა კარგი ხარო, რა კარგი!
მზემ გადმოხედა ცხრათვალამ,
მინდვრის დედოფლად ჩათვალა.



ნახატი-ხუმრობა პოლონური სახუმრო ჟურნალიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეკა

განი, განი...

მინა მუმლაძე

იყო ერთი ყურცანცარა
მოცეკვავე ჩინებული,
თეთრი ჩოხა შეიკერა
წელზე შემოჭირებული,
ზედ ხანჯალი დაიკიდა
მეტად ძვირად ღირებული.
საცეკვაოდ გამოვიდა
დაუყენა ყველას თვალი,
ბაჭიებმა ტაში დაჭერეს,
იძახიან:—განი, განი!

ეპიზოდი

პეხლანგ ქახაძე

ნაზი ოთახში შეუძღვა ეკას: მოდი, აქ ვითამაშოთო.

ოთახში რომ შევიდნენ, ნაზიმ თავის ბომბორა ფისოს მოჰკრა თვალი. ფისო ლოგინზე მომრგვალებულიყო და არხეინად ეძინა.

— შეხე, შეხე, სად დაწოლილა!—შეიცხადა ნაზიმ.

გოგონამ მძინარ კატას კუდში წაავლო ხელი.

ფისომ ერთი დაიკნავლა, ლოგინიდან გადმოეშვა და კარში გავარდა.

ნაზიმ სათამაშოების უუთი გამოიტანა.

გოგონებმა კარგა ხანს ითამაშეს.

— ეჰ, დავიღალე... მოდი, ცოტა დავისვენოთ!—თქვა ნაზიმ, ფლოსტები გაიხადა, ლოგინზე ასვლა დააპირა.

ეკამ წაიდუდუნა:

— თუკი ფისოსათვის არ შეიძლებოდა ლოგინზე წამოწოლა, ჩვენთვის კი შეიძლება?

ნაზიმ ხელახლა გაასწორა დაუმუქნილი ლოგინი.

ნახატები **მიორგი როინიშვილისა**



შეადგინა მახარაძის რაიონის სოფ. ციხისფერდის საშუალო სკოლის მეორე კლასის მოსწავლემ **ლელა კვარაცხელიამ.**

76055
ეროვნული
ბიბლიოთეკა



1



2

1. „ჩემი მეზობელი“—ნახატი ნანა იოსელიანისა, 6 წ. თბილისი.

2. „ტრაქტორი“—ნახატი გურამ ქათამაძისა, 6 წ. თბილისი.

3. „ზანგი გოგონა“—ნახატი მაია ტარასიშვილისა. 10 წ. თბილისი.

4. „ხოფელში“—ნახატი მანანა ცქვიტინიძისა, 5 წ. თბილისი.

5. „მომღერალთა გუნდი“—ნახატი ნინო ლომიძისა, 8 წ. თბილისი.



3

4

5

რედაქტორი ჯანსულ ჩარკვიანი. სარედაქციო კოლეგია: გ. გეგეჭკორი, კ. გოგიაშვილი, ჯ. ლოლუა, მაკ. მრევლიშვილი, ჯ. ნინუა, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი), ნ. ფულეისკირი (რედაქტორის მოადგილე), რ. ბეიშვილი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი

ყდის მხატვრობა იური ქლიბაძისა

ტექრედაქტორი გ. როინიშვილი

გამოცემის ოცდამეცხრამეტე წელი. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ.

გამომცემლობა „ნაკადული“, გამომც. შეკვ. № 43, სტამბის შეკვ. № 232. ტირაჟი 57.500. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/II 1966 წ.

ჟურნალი დაბეჭდილია საქ. კპ ცკ გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატში ლენინის ქ. № 14 „ДИЛА“ № 4 на грузинском языке. Тбилиси, просп. Плеханова № 91.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრსპ. № 91, ტელ. 5-37-38, 5-18-09.

ფასი 20 კაპ.